საქართველოს მთავრობის

დადგენილება №120

2014 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 30/12/2013, 040000000. 05.001.017304) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 30/12/2011, 170050000.10. 003.016667) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობებს, მათი გადახდევინების წესსა და მომსახურების ვადებს“ დაემატოს შემდეგი შინაარსის 23^1 მუხლი:

„მუხლი 23^1. საზღაური საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის 1^1 ნაწილით გათვალისწინებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადებული იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმებისათვის

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის 1^1 ნაწილით გათვალისწინებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადებული იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმებისათვის საზღაურის განაკვეთებია:

№	გარიგების ღირებულება	საზღაურის განაკვეთი
1.	1 000 ლარიდან 5 000 ლარის ჩათვლით	50 ლარი
2.	5 001 ლარიდან 20 000 ლარის ჩათვლით	100 ლარი
3.	20 001 ლარიდან 50 000 ლარის ჩათვლით	150 ლარი
4.	50 001 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით	200 ლარი
5.	100 000 ლარზე მეტი	500 ლარი

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულება უზრუნველყოფს სამეწარმეო იურიდიული პირის სასესხო ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნას და გარიგების ღი-

რებულება აღემატება 1 000 000 ლარს, იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმებისათვის საზღაურის განაკვეთებია:

№	გარიგების ღირებულება	საზღაურის განაკვეთი
1.	1 000 001 ლარიდან 20 000 000 ლარის ჩათვლით	1 000 ლარი
2.	20 000 000 ლარზე მეტი	10 000 ლარი

3. ამ მუხლით დადგენილი საზღაურის განაკვეთები არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის 1^3 ნაწილით განსაზღვრული სუბიექტების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად დადებულ იპოთეკის ხელშეკრულებებზე, რომლებზეც საზღაურის განაკვეთი გამოითვლება ამ წესის 23-ე მუხლის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**